

შპს „IKMA GEORGIA“
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი


ფინანსური ანგარიშგება

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
განმარტებითი შენიშვნები.....	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება.....	13
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან.....	14
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	14
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
7. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი).....	15
8. ძირითადი საშუალებები.....	15
9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი	16
10. ფული და ფულის ექვივალენტები	17
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	17
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	17

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2019 წ.	2018 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	10,578,006	5,711,848
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	-6,959,491	-4,389,005
საერთო მოგება		3,618,515	1,322,843
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	-844,273	-731,584
ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი		-357,498	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	7	48,430	-12,872
მოგება დაბეგვრამდე		2,465,174	578,387
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,465,174	578,387
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,465,174	578,387

დირექტორი




შპს „IKMA GEORGIA“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,934,268	1,587,652	101,521
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		2,195,297	1,548,774	522,583
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	3,431,676	3,934,075	4,181,920
გადახდილი ავანსები		738,735	95,448	103,833
სხვა მიმდინარე აქტივები	10	365,581	110,351	26,040
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,665,557	7,276,300	4,935,897
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება		991,474	557,385	261,453
ძირითადი საშუალებები	8	277,131	328,653	385,491
არამატერიალური აქტივები		1,521	843	843
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,270,126	886,881	647,787
სულ აქტივები		9,935,683	8,163,181	5,583,684
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		1,111,346	134,345	278,231
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ		3,773	-	-
მიღებული ავანსები		5,586,341	6,798,994	4,929,453
საგადასახადო ვალდებულება		311,536	343,717	9,311
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		7,012,996	7,277,056	5,216,995
კაპიტალი				
მფლობელთა კაპიტალი		479	479	479
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		2,922,208	885,646	366,210
სულ კაპიტალი		2,922,687	886,125	366,689
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,935,683	8,163,181	5,583,684

დირექტორი




შპს „IKMA GEORGIA“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	479	366,210	366,689
წმინდა მოგება	-	578,387	578,387
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	578,387	578,387
გაცემული დივიდენდი	-	-58,951	-58,951
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	479	885,646	886,125
წმინდა მოგება	-	2,465,174	2,465,174
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-	0
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	0
წლის სრული შემოსავალი	-	2,465,174	2,465,174
გაცემული დივიდენდი	-	-428,612	-428,612
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	479	2,922,208	2,922,687


დირექტორი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		2,465,174	578,387
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	98,547	89,220
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სხვა დანახარჯები ზრდა (შემცირება)		-930,699	258,477
საეჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		-646,523	-1,026,191
გამოუმუშავებელი შემოსავალი ზრდა(შემცირება)		-1,212,653	1,869,541
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		502,399	247,845
საეჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		980,774	-143,886
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,257,019	1,873,393
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	-47,702	-32,382
საინვესტიციო ქონების შეძენა		-434,089	-795,937
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-481,791	-328,314
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდი		-428,612	-58,948
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-428,612	-58,948
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	10	1,587,652	101,521
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		346,616	1,486,131
31 დეკემბრის მდგომარეობით	10	1,934,268	1,587,652

დირექტორი




განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „IKMA GEORGIA“ (შემდგომში – „კომპანია“) დაფუძნდა 2011 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი - 406052266, იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის დაღმართი, N 6, კომერციული ფართი, N10

კომპანია აწარმოებს ფინური ბრენდის „KONE“-ს ლიფტების, გერმანული ბრენდის „BKG“-ს მცირე სატვირთო ლიფტების და ესპანური ბრენდის „HIDRAL“-ის საავტომობილო ლიფტების და სატვირთო პლატფორმების დისტრიბუციას. დისტრიბუციას თან ახლავს სამონტაჟო საქმიანობებიც. ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ორგანიზაცია ახორციელებს ობიექტებზე ლიფტების ტექნიკურ მომსახურებას.

კომპანიის დამფუძნებელი არის: შამილ კარიმოვ -100 %-ის წილის ფლობით.

დირექტორი: ნინო მიქაძე

კომპანიას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 40 და 31 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც 3 კატეგორიის საწარმოთათვის შელავათს ითვალისწინებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ორგანიზაციის მფლობელთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მოგებაში ან ზარალში.

(გ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქტია გადაცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

(ა) შემოსავალი ლიფტების და სატვირთო პლატფორმების დისტრიბუციიდან.

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

(გ) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი USD	ევრო EUR
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	2.8677	3.2095

დაბეგვრა

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამოწვევების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა	20
მანქანა-დანადგარები	5
საოფისე აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ლიფტების დისტრიბუციასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონ- ლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს: ლიფტების, მცირე სატვირთო ლიფტების, საავტომობილო ლიფტების და სატვირთო პლატფორმების დისტრიბუციას. დისტრიბუციას თან ახლავს სამონტაჟო საქმიანობებიც. ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ორგანიზაცია ახორციელებს ობიექტებზე ლიფტების ტექნიკურ მომსახურებას.

შემოსავლები	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	9,838,505	5,297,239
შემოსავალი სამონტაჟო საქმიანობიდან	219,926	35,616
შემოსავალი მომსახურებიდან	463,586	346,539
შემოსავალი იჯარებიდან	55,989	6,802
სულ:	10,578,006	5,686,196

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ხარჯის დასახელება	2019 წელი	2018 წელი
მზა პროდუქცია	5,873,940	3,684,545
შრომის ანაზღაურება	1,066,462	652,158
დამატებითი მასალები	19,089	52,302
სულ	6,959,491	4,389,005

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ხარჯის დასახელება	2019 წელი	2018 წელი
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	467,342	478,340
ცვეთა და ამორტიზაცია	98,547	89,220
სატრანსპორტო ხარჯი	69,478	20,647
მომსახურების ხარჯი	44,718	44,622
იჯარის ხარჯი	24,031	15,875
დაზღვევის ხარჯი	23,516	15,652
მარკეტინგის ხარჯი	21,782	2,817
მივლინების ხარჯი	20,823	20,832
კომუნიკაციის ხარჯი	11,141	10,091
საგადასახადო ხარჯი	10,665	7,732
საოფისე და სამეურნეო	9,546	7,010
ბანკის ხარჯი	12,413	5,827
საკონსულტაციო ხარჯი	10,982	503
სხვა საერთო ხარჯი	19,289	12,416
სულ	844,273	731,584

2019 წელს კომპანიამ შექმნა ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე, რომელიც ზარალმა მოგება, ზარალის უწყისში შეადგინა 357,498 ლარი.

7. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	2019 წელი	2018 წელი
დასახელება	ლარი	ლარი
მოგება საკურსო სხვაობიდან	221,283	130,625
ზარალი საკურსო სხვაობიდან	-172,853	-143,497
სულ ფინანსური შემოსავალი	48,430	-12,872

8. ძირითადი საშუალებები

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ღირებულება	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშ.	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარ.	317,238	308,825	33,003	17,089	129,860	806,015
შეძენა	0	6,894	25,489	0	0	32,383
ჩამოწერა	-	-	-	-	-1	-1
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	317,238	315,719	58,492	17,089	129,859	838,397
შეძენა	0	7,397	30,449	9,179	0	47,025
ჩამოწერა	-	-	-	-	0	0
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	317,238	323,116	88,941	26,268	129,859	885,422
ცვეთა და გაუფასურება						
2018 წლის 1 იანვრის მდგ.	(56,794)	(259,463)	(10,343)	(8,489)	(85,435)	(420,524)
ჩამოწერა	0	0	0	0	0	0
ცვეთა წლის მანძილზე	(43,732)	(13,099)	(9,646)	(2,320)	(20,423)	(89,220)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(100,526)	(272,562)	(19,989)	(10,809)	(105,858)	(509,744)
ჩამოწერა	0	0	0	0	0	0
ცვეთა წლის მანძილზე	(58,598)	(12,541)	(12,838)	(4,020)	(10,550)	(98,547)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(159,124)	(285,103)	(32,827)	(14,829)	(116,408)	(608,291)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვრის მდგ.	260,444	49,362	22,660	8,600	44,425	385,491
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	216,712	43,157	38,503	6,280	24,001	328,653
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	158,114	38,013	56,114	11,439	13,451	277,131

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2019	31.12.2018
მზა პროდუქცია	5,873,940	3,684,545

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შრომის ანაზღაურება	1,066,462	652,158
დამატებითი მასალები	19,089	52,302
	6,959,491	4,389,005

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	ლარი	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე	1,784,757	1,479,480	85,704
ეროვნული ვალუტას საბანკო ანგარიშზე	149,511	108,172	15,817
სულ	1,934,268	1,587,652	101,521

	ლარი	ლარი	ლარი
სხვა მიმდინარე აქტივები	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
შეზღუდული ფული	365,581	110,351	26,040
სულ	365,581	110,351	26,040

კომპანიის საბანკო ანგარიშებზე 2019 და 2018 წლის ბოლოს ერიცხება შეზღუდული ფული 365,581 ლარი და 110,351 ლარი შესაბამისად, რომელიც შპს ანაგი-ს მიმართ ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით განთავსებული იყო სს „თიბისი ბანკში“ ბლოკირებულ ანგარიშზე.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას საანგარიშ პერიოდის შემდგომ არ ქონია მნიშვნელოვანი მოვლენები.

12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას არ აქვს.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 23 სექტემბერს